ცნობის ფურცელი

№ 1700 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 18 იანვარი № 1700

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კონტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კით. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"** ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც **„მოამბე"**-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

ქართული თეატრი

კვირას, 20 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ქეთო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით.

დაკლებულის ფასებით

ცნობილი პიესა

I

დამნაშავეა?

დრამა 3 მოქ. გად. ნიკიტინისა.

II

კინტო.

კომედია 3 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, ლეჟავა მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოკი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, ჭმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება დ. აწყურელის საბენეფისოდ: „დასჯილი" „საგიჟეთში".

რეჟისორი **ვ. გუნია**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1$^1/_2$—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო — ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი — შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ხიდის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

საზღვარ-გარედ

დანია. ისლანდიაში სულ 70,000 ათასი მცხოვრებელია.

ისლანდია არა თუ საზოგადო სახელმწიფო ხარჯებსა და გადასახადებს არ იხდის, პირიქით, ყოველ წელს დანიისაგან შემწეობა 160,000 კრონა ეძლევა. ისლანდიის მცხოვრებლები სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლები არიან და ჯარში არ გადიან. კონსტიტუციით ისლანდიის მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ სინიდისისა, წერისა და კრების თავისუფლება. ისლანდიელებს უკანონოდ, სანამ საქმე საჯაროდ სასამართლოში არ გაირჩევა, მარტო მთავრობისა და მოხელეების განკარგულებით, ვერავინ ვერ დაატუსაღებს, ციხეში ვერ ჩასვამს, ერთის სიტყვით, თავისუფლებას ვერ წაართმევს. ისლანდიელს მამულსა და ქონებას ვერავინ ჩამოართმევს. ისლანდიაში ყოველ საზოგადო სასამართლოში და დაწესებულებაში საქმეს ისლანდიურ ენაზე აწარმოებენ. ისლანდიელებს ცალკე საერო კრება ჰყავთ ამორჩეული და იმათი ქვეყნისათვის კანონებს ეს საერო კრება ადგენს. დანიის მეფე მარტო ამტკიცებს ამ კანონებს. საერო კრებას ისლანდიელები ალტინგს ეძახიან. ალტინგი ორი პალატისაგან შესდგება: ზედა პალატის 6 წევრს მეფე ჰნიშნავს, დანარჩენ წევრებს კი ქვედა პალატა ირჩევს თავის წევრთაგან. ქვედა პალატას 24 წევრი ჰყავს. ამ წევრებს ხალხი პირდაპირის კენჭის ყრით ირჩევს. საარჩევნო უფლება აქვს ყველას, ვინც 25 წლის ნაკლები ხნის არაა და ქალაქებში 8 კრონაზე და სოფლებში 12 კრონაზე ნაკლებს გადასახადს არ იხდის; ამას გარდა არჩევნის უფლება აქვს ყველას, ვისაც რაიმე თანამდებობა უჭირავს, ან უმაღლესი სწავლა მიუღია. ვისაც საარჩევნო უფლება აქვს, დეპუტატად არჩევის უფლებაცა აქვს, ოღონდ ეგ არის, რომ დეპუტატი 30 წლისაზე ნაკლები ხნისა არ უნდა იყოს. საერო კრება წელიწად გამოშვებით იკრიბება, მაგრამ თუ საჭირო იქნება, მისი შეკრება ყოველთვისაც შეიძლება. კანონ-პროექტის წარდგენის უფლება ყოველ დეპუტატს აქვს; მთავრობის კანონ-პროექტები კიდევ გუბერნატორს შეაქვს. გუბერნატორს უფლება აქვს საერო კრებას დაესწროს, მაგრამ ხმისა და კენჭის უფლება კი არა აქვს. გუბერნატორი მეფის წარმომადგენელია კუნძულზე და ისლანდიის საქმეთა მინისტრს ექვემდებარება; ეს მინისტრი კიდევ საერო კრების წინ აგებს პასუხს. ისლანდიის საქმეთა მინისტრის მოვალეობას დანიის ერთ-ერთი მინისტრი ასრულებს (უფრო ხშირად იუსტიციის მინისტრი). საერო კრებისაგან დამტკიცებულ კანონ-პროექტს შემდეგ დანიის სახელმწიფო საბჭო იხილავს და დანიის სახელმწიფო კანონებთან ათანხმებს. მეფე ან სრულიად ამტკიცებს კანონ-პროექტს, ან სულ მთლად უარჰყოფს.

ისლანდიელებს და დანიის მთავრობას ისლანდიის საქმეთა მინისტრის თაობაზე დიდ-ხანს ლაპარაკი და უთანხმოება მოსდიოდათ. ისლანდიელები თხოულობდნენ, რომ იმათთვის ცალკე საკუთარი მინისტრი დაენიშნათ; მინისტრად ან წმინდა ისლანდიელი უნდა ყოფილიყო, ან არა და ისეთი დანიელი მაინც დაენიშნათ, რომ ისლანდიური ენა სცოდნოდა. უკიდურესი აზრების მიმდევრები კიდევ იმას თხოულობდნენ, რომ ისლანდიაში მეფის მოადგილე დაენიშნათ. სანამ დანიაში კონსერვატორების სამინისტრო იყო, ისლანდიელების თხოვნას ზედაც არ უყურებდნენ. შარშან ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ დანიის კონსერვატიული სამინისტრო დაემხო და მისი ადგილი მემარცხენეთა დასის წევრებმა დაიჭირეს. ისლანდიელებმა ისარგებლეს ამით და მოსთხოვეს ახალ რადიკალურ სამინისტროს, რომ ისლანდიისათვის საკუთარი მინისტრი დაენიშნათ, თანაც უსათუოდ ისეთი კაცი, რომ ისლანდიური ენა სცოდნოდა. ამავე დროს ისლანდიის საერო კრებამ ახალი პროექტიც შეადგინა. ამ პროექტის ძალით ისლანდიის კონსტიტუციაც უნდა შეიცვალოს: საარჩევნო უფლება უფრო მეტს ხალხს მიენიჭოს და საარჩევნო წესები გაუმჯობესდეს.

დანიის მეფემ ისლანდიელებს პასუხად ეპისტოლე მისწერა და აღუთქვა, რომ თქვენ თხოვნას უკლებლივ შევასრულებო. მეფე თხოვნის შესრულებასაც არა სჯერდება და უფრო მეტ საქმესაც ჰპირდება ისლანდიელებს. მეფე თანხმობას აცხადებს, რომ ისლანდიის კონსტიტუცია შეიცვალოს და ისლანდიის საქმეთა მინისტრად ისლანდიური ენის მცოდნე დაინიშნოს; ამას გარდა, მეფე ისლანდიელების უთხოვნელად თანახმაა, რომ ამ მინისტრმა ისლანდიის დედა-ქალაქ რეიკიავიკში იცხოვროს. ამავე დროს გუბერნატორისა და ზოგიერთი სხვა უფრო წვრილი თანამდებობის ადგილები საჭირო აღარ იქნება და ამიტომ უქმდება. რადგანაც ამისათვის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შეცვლა იქნება საჭირო, ამიტომ მეფემ, ეპისტოლეს გარდა, ბძანებაც გამოსცა, რომ მომავალ ივლისში ისლანდიის საერო კრება შეიკრიბოს და ეს საქმეები განიხილოს. ასე რომ ისლანდიელების დიდი ხნის სურვილი მოკლე ხანში ასრულებული იქნება.

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთ „ნოვოსტი"-ს ამნაირი დეპეშა მოსვლია ლონდონიდან:

ფელეტონი

შენიშვნები ბათუმის შესახებ

ნავთის ქალაქის დაფუძნება ბათუმში

(დასასრული*)

აყრა ქარხნებისა და მათი გადატანა ახალ ადგილებში მოითხოვდა მილიონებს ხაზინიდან, რადგან ხაზინას ფიქრად აქვს ნავთის რეზერვუარები თავის განკარგულებაში იქონიოს. ამასთან, კიდევაც რომ მილიონებიან ხარჯებსაც არ დარიდებოდენ, საფიქრებელი იყო იმ ბაზრების შეჩერება, რომელიც რუსეთის ნავთს მოუპოვებია. აყრა-გადატანა-მოწყობაში, რასაკვირველია, ვაჭრობა შეფერხდებოდა, ბაზრებზე რუსეთის ნავთის ადგილს ამერიკის ნავთი დაიკავებდა და შემდეგ ამ დაკარგული ბაზრების დაბრუნება საეჭვო არის; ამგვარი შემთხვევა კიდევაც მოუვიდა რუსეთის ნავთს, ეს იყო 1895—1896 წლ. ზამთარში, როცა ამიერ-კავკასიის რკინის გზა გაფუჭდა და რამდენიმე თვით მიმოსვლა შესწყდა; ამ მცირე ხნის დაბრკოლებამაც ბევრი ბაზარი დააკარგვინა რუსეთის ნავთს და ეს დანაკლისი ჯერაც არ არის დაფარული.

ქარხნების მოშორებით გადატანა უსათუოდ მოითხოვდა ნავთის ფასის აწევას და ეს მხოლოდ უპირატესობას მისცემდა ამერიკის ნავთს. ყუთებით გზავნა კი სრულიად უნდა მოსპობილიყო, რადგან ყუთების საკეთებელ სახელოსნოების ახალ ადგილას მომართვა მოითხოვდა ახალ გაუმჯობესებულ იარაღ-მაშინებს, ახალ ხელსაწყოს და ეს კი მეტად დიდ ხარჯს მოითხოვდა. დღეს თუ ყუთებით გაზიდული ნავთი დიდ ფასებში არ იყიდება, ეგ იმიტომ, რომ ყუთების საკეთებელ სახელოსნოების მოწყობაზე გაწეული ხარჯები უკვე ამოგებული აქვთ პატრონებს.

ნავთის გაზიდვას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნავთის წარმოებისათვის, არამედ მთელ სახელმწიფო ვაჭრობისთვისაც; ამიტომ საჭიროა მისი ხელის შეწყობა და დათმობა მისდა სასარგებლოდ ზოგიერთ ინტერესებისაცაო,—აი რა აზრი გამოსთქვა მცირე კომისიამ, რომელმაც მეტად სასარგებლოდ იცნო ნავთის ქარხნების ყველა მოწყობილობათა ერთიანად ახალ ადგილას გადატანა. კომისიის აზრით, რადგან ნამდვილ საშიშარ საგანს მხოლოდ ჩვეულებრივი კეროსინი (обыкновенный керосинъ) წარმოადგენს, ამიტომ სრულიად საკმარისი იქნება საშიშროების ასაცილებლად შიგ ქარხნებში მხოლოდ სახარჯო ნავთის დატოვება, დანარჩენი ნავთი კი რომ ქალაქს გარეთ და სიმაგრეების მოშორებით ინახებოდეს, ამისათვის ახლად აგებულ რეზერვუარებში. გატანა კი დანარჩენ ნივთეულობათა, განსაკუთრებით ნავთის მინერალურ ზეთებისა, არც იმდენად საჭიროა და მასთან მეტად ძნელი და რთული ასასრულებელი და გარდამეტებულ ხარჯების მომთხოვი საქმე იქმნებოდა. მაგალითად, მცირე-კომისიის გამოანგარიშებით, ნავთის მინერალურ ზეთების რეზერვუარები რომ ახალ ადგილას გადაიტანონ (მაგ. 20 ვერსტის სიშორეზე) და მათთვის საჭირო ახლად მილები გაიყვანონ ნავთსადგურამდინ—მარტო ეს უკანასკნელი 3.500.000 მანეთი დაჯდებოდა.

ყოვლად შეუძლებლად იცნო მცირე კომისიამ ყუთების საკეთებელ ხის მასალის გადატანაც იმ მოსაზრებით, რომ ნავთსადგურიდან ამ მასალის გადატანა, იქიდან საჭიროების მიხედვით ქარხნებშივე მათი მოტანა ზედ-მეტ ხარჯს მოითხოვდა და ნავთის ფასებზედაც გავლენას იქონიებდა.

ყოველ ამის გამო მცირე კომისია შემდეგ დასკვნაზე შესდგა: ყველა ხისა და თუნუქის ყუთების და ბოჩკების ქარხანა-სახელოსნოები, ნავთის, ზეთების და ნავთიანი ნაშთების მსხმელ-მქაჩავი სადგურები დატოვებული იქმნენ ძველ ადგილებზე, დღევანდელ ნავთის ქალაქში. ხის მასალის საწყობებიც დატოვებულ იქმნან ქარხნებთან, ისე რომ 1891 წ. კანონი მათ არ ეხებოდეს. ქარხნებისათვის საჭიროს გარდა, ნავთი უნდა ინახებოდეს ქალაქს გარეთ, სიმაგრეების დაშორებით, რისთვისაც მოხერხებულ ადგილას უნდა აგებულ იქმნას ახალი რეზერვუარები და მოწყობილ იქმნას ამ სათადარიგო ნავთის გადაქაჩვა, საჭიროებისამებრ, ქარხნებზედ, ნავთიან ქალაქში.

რა კი ამაზე შესდგა მცირე კომისია, იგი თანვე შეუდგა იმ მოხერხებულ ადგილების გამოძებნას, სადაც შეიძლებოდა ნავთის ახალ რეზერვუარების აგება. კომისიამ დაათვალიერა მთლად ბათუმის მიდამოები. ამ ადგილების აწერილობაში ბევრი რამ საინტერესო ცნობებია და ამიტომ, მე მგონია, მეტი არ იქმნება მათი აქ მოყვანა.

---

*) იხ. „ცნ. ფურც". № 1695.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღარემ ინგლისელი გენერალი გარინგტონი მთელი თავისი შტაბით დაატყვევა".

☼ მართალია, ინგლისის მთავრობა უსამართლოდ, უღმერთოდ მოექცა ბურების სარდლებს, მაგრამ ეს უღვთოობა არავინ არ დაჰგმო და არავინ არ გაკიცხა ისე მკაცრად და გულ-წრფელად, როგორც თითონ ინგლისის ოპოზიციამ. ჭაბუკი შეფერსის თოფით დახვრეტამ მთელი ქვეყანა შეჰზარა; ხმა ამოიღო, რასაკვირველია, ინგლისის ოპოზიციამაც და გაზეთებმაც. ოპოზიციამ პარლამენტში მოსთხოვა მთავრობას ამ მხეცური საქციელის პასუხი და ლიბერალურმა გაზეთებმაც დაჰგმეს ეს საოცარი უსამართლობა. აი რასა სწერს ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუს"-ი:

„ლოტერი, კრიუცინგერი და შეფერსი მეტად კეთილ-შობილურად და კაცთ-მოყვარულად იქცეოდნენ. ესენი ისე იბრძოდნენ, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს, კაცურ-კაცს შეჰშვენის, შეფერსი ხომ, სწორედ რომ ვსთქვათ, დატუსაღებული არც კი იყო. ჭაბუკი სარდალი, ავადმყოფობისაგან ძალზე შეწუხებული ერთ ფერმაზე წოლილიყო, ჯაშუშებს ეჩვენებინათ ჩვენი რაზმისათვის, წასულიყვნენ და ავად-მყოფი სარდალი ხელში ჩაეგდოთ. წინად შეფერსისთანა ღირსეულ მტრებს პატივსა სცემდნენ, ეხლა კი „მკვლელობის" გულისათვის სამართალში აძლევენ და სიკვდილითა სჯიან. რა მკვლელობა ჩაიდინეს ბურების სარდლებმა? ჯაშუშები დახოცეს და მტრის მატარებლები გადაჩეხეს გზიდან,—აი ამას სთვლის ჩვენი მთავრობა ბოროტ-მოქმედებად. ჩვენი მამა-პაპა თავიანთ მტრებს პირდაპირ გულ-დაგულ ეომებოდა, უკანონოდ არას დროს არ იქცეოდა, ცარცვასა და უბრალო მკვლელობას ერიდებოდა. ჩვენ კი ჩვენი მამა-პაპის ანდერძი მთლად დავივიწყეთ. გულახდით, პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ ვაჟკაცობის, მამაცობის იმედი დაგვეკარგა და ეხლა მარტო ჩვენი სიმდიდრის იმედი და დაგვრჩენია. ეს ისეთი ცუდი ნიშანია, რომ თითქმის ერის დაღუპვას მოასწავებს".

☼ ბრიუსელიდან სწერენ „მორნინგ პოსტ"-ს, რომ დოქტორ ლეიდსმა ყველა დიდ სახელმწიფოებს პროტესტი გამოუცხადა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგათ, ნება არა ჰქონდა, რომ შეფერსი თოფით დაეხვრიტათ. ეს უბრალო მკვლელობად ჩაითვლებაო. ლეიდსი აცხადებს, რომ ამას იქით ბოტასა და დევეტსაც სრული ზნეობრივი უფლება ექნებათ, ტყვე ინგლისელებსაც ეგრე მოექცნენო.

ინგლისი. გეხსომებათ, რომ ოპოზიციამ მეფის სეფე-სიტყვის პასუხად წინადადება შეადგინა მთავრობის გასაკიცხად. ეს წინადადება პალატამ დიდის ხმის უმეტესობით უარჰყო: 323 ხმით 113 წინააღმდეგ. თითონ მთავრობასაც არა ჰქონდა ამისთანა გამარჯვების იმედი. 210 ხმის უმეტესობით აჯობა ოპოზიციას, როდესაც მისი ჩვეულებრივი უმეტესობა 140 ხმას არ აღემატება. ეს სულ იმის ბრალია, რომ ოპოზიციას დღესაც ერთი პირი არა აქვს. უმთავრესი ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუს"-ი სწერს ამის თაობაზე:

„ირლანდიელებმა წინადვე გამოაცხადეს: მაგ წინადადებას არ მივემხრობით, რადგანაც ეგ წინადადება სამხრეთ-აფრიკის ომის განგრძობას თხოულობსო. არც თუ რადიკალების დახმარების იმედი ჰქონდა კემპბელ-ბანერმანს მაგრამ ოპოზიციის წინამძღოლი ლიბერალ-იმპერიალისტებისაგან კი ელოდა შველას. ეს წინადადება ასკვიტის თანხმობით იყო შედგენილი და პირველი მისი ნაწილი სწორედ ლიბერალ-იმპერიალისტების გულის მოსაგებად იყო დაწერილი. ლიბერალ-იმპერიალისტები მაინც ძლიერ უცნაურად მოიქცნენ კამათის დროს. წინადადების მომხრენი იყვნენ, თუ წინააღმდეგნი,—ეს არავინ იცოდა. მართლა დაარწმუნა ჩემბერლენმა, რომ ლიბერალ-იმპერიალისტები და მთავრობა ერთნაირად უცქერიან ომის საქმესაო, თუ ვერა,—ესეც ვერავინ გაიგო. ასკვიტმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და პარლამენტში არ მოვიდა. ედუარდ გრეიც ძლიერ შორს გაუდგა კემპბელ-ბანერმანს. ოპოზიციის წინამძღოლმა თითონაც არ იცოდა, ვინ მიემხრობოდა ლიბერალ-იმპერიალისტებში და ვინ არა. წინამძღოლი სწორედ რომ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. სერ ვილიამ ჰარკორტმა გამოიღო მისთვის თავი და მედგრად გამოესარჩლა მის წინადადებას, მთელი თავისი ხელოვნება და მჭევრმეტყველება მოიხმარა, რომ ლიბერალ-იმპერიალისტებიც მოემხრო. ჰარკორტი არწმუნებდათ იმპერიალისტებს, თუ ამ წინადადებას არ მოემხრობით, ამით არა თუ მარტო კემპბელ-ბანერმანს უღალატებთ, თვით ლორდ როზბერისაც ცუდ საქმეს უზამთ, რადგანაც ეს წინადადება როზბერის აზრების თანახმად არის შედგენილიო. თავისი აზრის დასამტკიცებლად ორატორმა ბევრი ადგილები მოიხსენია როზბერის სიტყვებიდან. ამას გარდა ჰარკორტი იმასაც უმტკიცებდა იმპერიალისტებს, რომ ჩემბერლენი სულ სხვა თვალით უყურებს სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეს და თქვენი მეთაურები—როზბერი, ასკვიტი და გრეი კიდევ სულ სხვა თვალით უყურებენო. მაგრამ კამათიდან მალე გამოჩნდა, რომ კემპბელ-ბანერმანს ტყუილი იმედი ჰქონდა ლიბერალ-იმპერიალისტებისა და სულ უბრალოდ ცდილობდა იმათი გულის მოგებას.

კონსერვატორმა დეპუტატმა ვინსტონ ჩერჩილმა სთქვა: „ოპოზიციის წინამძღოლი გვირჩევს, ბურებთან რომ მივდივართ, ცალ ხელში მახვილი უნდა გვეჭიროს და მეორეში კიდევ—ზეთის ხილის შტო (შერიგების ნიშნად). თუ ისე მოვიქცევით, იცოდეთ, რომ ან მახვილი დაგვიჩლუნგდება, და ან ზეთის ხილის შტო სისხლში გაგვესვრება".

ეს წინადადება ჩერჩილზე უფრო მკაცრად ბურების ცნობილმა მომხრემ, რადიკალმა დეპუტატმა ლოიდ ჯორჯმა გაკიცხა. ჯორჯმა სთქვა:

„ოპოზიციის წინადადება ზავის პირობებზე ხმასაც არ იღებს და ამიტომ თავის თავს თითონვე უარ-ჰყოფს. თავში სწერია, ეს ომი უსამართლოაო, ბოლოში კი ნათქვამია, ეს ომი უნდა განვაგრძოთო. ეს წინადადება ლიბერალური დასის ორივე ჯგუფს (იმპერიალისტებსა და გლადსტონის მიმდევრებს) აი რას ეუბნება: თუ თქვენ იტყვით, რომ ის, რასაც შავად სთვლით,—თეთრიაო, ჩვენ კიდევ იმას ვიტყვით, რომ რასაც თეთრადა ვსთვლით—შავიაო. ეს შეთანხმება კი არა, ეს ნამდვილი უაზრობაა".

ახალი ამბავი

◆ **დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის** ძე გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ გუშინ, 17 იანვარს, გაემგზავრა პეტერბურგს თავად-აზნაურთა **საგანგებო დეპუტაცია**, რომელმაც ქართველ თავად-აზნაურობისაგან უქვეშევრდომილესი მადლობა უნდა მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს.

◆ 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებლის **წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს** ანჩისხატის ტაძარში არქიმანდრიტის მ. დოსითეოსის და სხვა სამღვდელოების თანამწირველობით გარდაიხადეს ქართულად სადღესასწაულო წირვა. წირვაზე გალობდნენ ტფილისის საეკლესიო სამრევლო სკოლის მოწაფეები, დაყოფილი რამოდენსამე გუნდად. ყურადღების ღირსია ხარფუხის სამრევლო სკოლის მოწაფეთა გუნდი, რომელთაც იგალობეს ქართულად სამს ხმაზე, მასწავლებლის ბ. ჩახნაშვილის ლოტბარობით, თითქმის მთელი წირვა, ნამდვილ ქართულ კილოზე მწყობრად.

◆ სადგურ განჯიდან გვწერენ, რომ 14 იანვარს სადგურის მღვდელმა ე. მირიანაშვილმა **ქართულად სწირა**; გალობდა მოყვარულთაგან შემდგარი ქართველ ქალთა და ვაჟთა გუნდი ამავე ეკლესიის მთავრის კვალიაშვილის ლოტბარობით. წირვას თითქმის მთელი ქართველი საზოგადოება დაესწრო სამშობლო ენაზედ გადახდილ წირვისა და გალობის მოსასმენად. მღ. მირიანაშვილმა ქადაგება წარმოსთქვა და გააცნო მრევლს მოკლედ წმ. ნინოს ცხოვრება და იმისი მნიშვნელობა ქართველი ერის წინაშე.

◆ წმ. ნინოს ტფილისის სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ ჩინებულის ყოფა-ქცევისა და სწავლისათვის **დააჯილდოვა შემდეგი მოსწავლენი**: მე-7 კლასისა—ოქროს ჯვრით—მ. შიუკაშვილი, ხოლო ვერცხლის ჯვრით—მ. ზედგინიძე და ა. სიდამონოვ-ერისთავი: მიიღეს პირველი ხარისხის ჯილდოები: უფროსი მოსამზადებელი კლასის შეგირდებმა შ. ალხაზიშვილმა და მ. იოსელიანმა; პირველ კლასისამ—მ. ტყემალაძემ; მეორე კლასისამ ტ. აბაშიძემ, ნ. ვაჩნაძემ და ე. ლოლაძემ; მეოთხე კლასისამ—ა. ხუციშვილმა; მეხუთე—ე. აბელიშვილმა; მეექვსე—ტ. წინამძღვრიშვილმა. მეორე ხარისხის ჯილდოები (ქების ფურცლები) მიიღეს: მოსამზადებელი კლასის შეგირდმა—ი. იაშვილმა; მეექვსე კლასისამ—ტ. ჯანდიერმა და ბ. ხუნდაძემ. გარდა ამისა ხატვისათვის დააჯილდოვეს საჩუქრებით: პირველი კლასის შეგირდი—ნ. კანდელაკი; მეორე კლასისა—ე. მამაცაშვილი; მესამესი—ნ. ვაჩნაძე; მეოთხესი—ტ. ნათიშვილი; მუსიკისთვის საჩუქრები მიიღეს:—მ. ჯორჯაძემ, ტ. ჯანდიერმა, ა. თურქიამ და ნ. მჭედლიშვილმა.

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ 14 იანვრის ჩვეულებრივს **ქართულს საღამოს** დიდძალი ხალხი დაესწრო; ასე რომ, „იმპერიალ"-ის სასტუმროში, სადაც, [illegible] გადაწევის გამო, საღამო გაიმართა, ტევა აღარ იყო. საღამომ ცოცხლად და მხიარულად ჩაიარა.

◆ „კავკ." ატყობინებენ, რომ 25 წარსულ დეკემბერს გამოვიდა ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანება, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიაც შემოღებულ იქმნას ის წესი თავად-აზნაურთა კერძო **გადასახადების** განაწილებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის და დამტკიცებისა, როგორიც არსებობს იმ გუბერნიებში, სადაც შემოღებულია საერო დაწესებულებანი.

◆ ხვალ, 19 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში **გამოაცხადებენ** პალატის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას შესახებ ამას წინად გასამართლებულთა ვერმიშევის, არღუთინსკი-დოლგორუკოვის, ივანენკოსი და ხოსროევისა.

◆ ამ მიმდინარე წელში საერო **დარაჯების შესანახავად** ტფილისის გუბერნიაში გადადებულია 335,000 მან.

◆ ქალაქის გამგეობაში დღემდის ექვსი თხოვნა შეუტანიათ, რომ **ნება** მიეცეთ ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. მთხოვნელები არიან: რუსეთის დამზღვევი საზოგადოების წარმომადგენელი გ. ა. ყარანგოზიშვილი, ა. გ. ტურკოვსკი, გ. კარაკოზოვი—ძმის მინდობილობით, პ. კ. ზუბალიშვილი, დამზღვევი საზოგადოების „იაკორის" წარმომადგენელი ბ. ზავრიევი და კადეტთა კორპუსის წარმომადგენელი პოლკოვნიკი პიკული.

◆ სამხედრო მინისტრის უქვეშევრდომილესი მოხსენების გამო 31 წარსულ დეკემბერს, გამოცხადდა უმაღლესი ნება, რომ დიდმა მთავარმა სერგეი მიხეილის ძემ მიიღოს **ბათუმის მუსიკალური** კრების საპატიო თავმჯდომარის წოდება.

◆ დღეს, 18 იანვარს დაიწყება **ლექციების კითხვა** საშუალო განათლების კურსებზე. როგორც წინა წლებში, ლექციებზედ ხელის მოწერა შეიძლება ქალთა პირველ გიმნაზიაში ო. ნ. ბოლდანოვიჩთან, დღის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8-მდე. ნახევარი წლის კურსის ფასი ხუთი მანეთია, ცალკე ერთის საგნისა 1 მან.

◆ შაბათს, 19 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება საზოგადო კრება **ტექნიკური საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა. განსახილველად დანიშნულია: 1, მოხსენება ინჟინერ-ჰიდრავლიკის ბ. მაევსკისა „მუღანის მინდვრის მორწყვის" შესახებ; 2, მიმდინარე საქმეები. გარეშე პირნი კრებას ვერ დაესწრებიან.

◆ ამას წინად სომხურ გაზეთებს დიდი კამათი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა **სომეხ გრიგორიანთა ეკლესიებში** გარდახდილ იქმნას პანაშვიდი გარდაცვალებულ კათოლიკე-სომხების სულის

---

1) **ადგილები მდ. ჭოროხის ნაპირებზე და ართვინის შოსეს დაყოლება.** მდ. ჭოროხისა და ართვინის შოსეს მარჯვენა მხარეს მდებარე დაბალი ადგილები, რომელზედაც წყალდიდობის დროს მდ. ჭოროხი გადივლის ხოლმე, სრულიად უვარგისადაა ცნობილი. შოსეს მარცხენა მხარეს მდებარე ადგილებში, რეზერვუარების ასაგებად გამოდგება ადგილი—სახელწოდებით ხელვაჩაური, ბათუმზედ 6—7 ვერსით დაშორებული. სივრცე ამ ადგილისა 57 დესეტინაა. ამ ხანად იგი წარმოადგენს გაერთიანებულ საყანეებს; თვითოეული დესეტინა იძლევა 150—200-მდე ფუთ სიმინდს. ამ ციებიან და ჭაობიან ადგილას არავინ სცხოვრობს, აქა-იქ მხოლოდ ფაცხებია, სადაც ქურთები ბინადრობენ ზამთრობით. ხელვაჩაურის მიწები შეადგენს 48 კაცის კუთვნილებას; მესაკუთრეებმა განაცხადეს, რომ თუ ჩვენ ამ ადგილებს ჩამოგვართმევენ, თითო დესეტინაზედ 600—1200 მანეთამდინ ვითხოვთო.

2) **ბარცხანის ხეობა.** აქაურობა მთა-გორიანი ადგილებია და გამოუსადეგარია ხსენებულ მიზნისათვის.

3) **ყოროლის წყლის ჭალები.** ამ ჭალებში ბევრ ადგილას შეიძლება ნავთის რეზერვუარების აგება, მაგრამ მცირე კომისიამ მოუხერხებლად სცნო ეს. და აი რატომ. ბათუმის ზრდასთან ერთად აქ, ამ ჭალებში და ხეობაში თან-და-თან მრავლდება აგარაკები, ასე რომ მიწის ფასი, 600—800 მანეთამდი ადის დესეტინა; მცხოვრებლებმა კი განაცხადეს, რომ თუ კი მიწებს ჩამოართმევენ, დესეტინაზედ 2400—4800 მანეთამდი ითხოვენ. ის ადგილი, სადაც შეიძლება რეზერვუარების აგება, ერთი უმშვენიერეს ადგილთაგანია თავის მდებარეობით და სანიტარულ პირობებით; მოფენილია მრავალ აგარაკებით; ამ აგარაკების პატრონებს დიდძალი ფული აქვთ ჩაყრილი მიწის დამუშავებაში, ათასნაირ ძვირფასს ნაშენში; აქ მოჰყავთ საუცხოვო თვისების ხილი, ზრდიან ძვირფასს ტროპიკულ მცენარეებს და გაშენებულია პოპოვის ჩაის პლანტაციები, სალიბაურში და კაპრეშუმში. ნავთის რეზერვუარების აგება ამათ მახლობლად საზარლად იმოქმედებდა ამაებზედ, ნავთის ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი მეტის-მეტად დააზარალებდა ამ ნაზ მცენარეების კვირტებს და ფოთლებს და ძირითადაც შესცვლიდა ცხოვრების პირობებს ამ ადგილებში, რომელიც თვით ვირხოვმა იცნო საუკეთესო კლიმატიურ კუთხედ შავი ზღვის მთელ ნაპირებზედ.

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიეცემოდა ნავთის სიახლოვისაგან კ. ს. პოპოვის ჩაის პლანტაციებს, რომელსაც უკავია სალიბაურში და კაპრეშუმში ორასზედ მეტი დესეტინა. პაპოვს დიდძალი ფული აქვს ჩაყრილი აქ, ამ ადგილების დასამუშავებლად და გასაწმენდ-გასაშრობლად; აგებული აქვს მრავალი შენობები, გაყვანილი აქვს მშვენიერი მოკენჭილი გზები მთების კალთებზედ, სალიბაურში ჩაის საკეთებელი ქარხანა აქვს მოწყობილი; შენობებზედ აქვს დახარჯული 200,000 მანეთამდინ; მამულების გაწმენდა-გაუმჯობესობაში—მილიონზედ მეტი; ამ პლანტაციებზედ მოსამსახურეთა წლიური ხარჯი—13,500 მანეთია; ყოველ დღიურად ხან-და-ხან აქ მუშაობს 200-დე ქალი და კაცი. როცა მთელ მამულში მოთავდება მუშაობა ჩაის ბუჩქების დარგვისა—ყოველ წლიურად მოიწევა 400,000-მდე გირვანქა ჩაი. ჩაი ძრიელ კარგი თვისებისაა; კარგი ფერისა, გემოსი, სუნნელოვანი და არაფრით ჩამოუვარდება საშუალო ხარისხის ჩინეთის ჩაის. მანეთად რომ დაიფასოს გირვანქა ამ ჩაისა, კ. ს. პოპოვის წლიური შემოსავალი ამ მამულებიდან 400.000 მანეთამდინ იქნება. მცირე კომისიის მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, ჩაის მოსაყვანად გამოსადეგი ადგილები თუ ყველა დამუშავებულ იქმნა, აქ მოიწევა 500.000 ფუთამდინ ჩაი, ე. ი. მესამედი ნაწილი იმისი, რაც მთელ რუსეთში იხარჯება, რის ფასიც შეადგენს 10—15 მილიონ მანეთს.

ყოველ ამის გამო მცირე კომისიამ შეუძლებლად სცნო ყოროლის წყლის ჭალებში და ხეობაში ნავთის რეზერვუარების აგება.

4) **მახინჯაური.** აქაურობაც მოფენილია აგარაკებით; ზოგიერთ მოაგარაკეებს გაუშენებიათ ძვირფასი მცენარეულობა—მანდარინისა და ლიმონის ხეები; მაგ. პასსეკს აქვს 700 ნამყენი, გაიდებუროვს—1000; გარდა ლიმონისა და მანდარინისა აქ არის საგანგებო ჯიშის ატამი, ვაშლი, მსხალი, ბალი, ლეღვი და სხვა. მიწები ერთობ ძვირობს. აყრა ამოდენა მოაგარაკეებისა და გაოხრება ამოდენი ნამუშევრისა დიდი ცოდვა იქნებოდა.

5) **ჩაქვის არე-მარე.** აქაც შეუძლებლად სცნო მცირე კომისიამ რეზერვუარების აგება. საუფლისწულო უწყებას აქვს შეძენილი აქ 12.500 დესეტინა და ზედ გაშენებულია ჩინურ-იაპონური მცენარეულობა. 1899 წლამდე ადგილების დამუშავებაში დახარჯული იყო 800.000 მანეთამდინ. მთავარი საქმე—აქაც ჩაის ბუჩქის გაშენებაა. ჩაის გარდა მოჰყავთ რამი (ჩინური ჭინჭარი), ბამბუკი, მანდარინი, ფორთოხალი და სხვა ძვირფასი მცენარეულობა; აქვეა მახლობლად ძვირფასად მოვლილი მამულები სტოიანოვისა, სოლოვცოვისა, ვუჩინოსი, ვერუსი და პოპოვისა.

6) **სადგურ ქობულეთის არე-მარე.** აქ კომისიამ ორი ადგილი მონახა ისეთი, სადაც შეიძლება ნავთის რეზერვუარების აგება; ერთი—სადგურის პირდაპირ; მეორე ადგილი—დიდი-მერე, ბათუმის მხრისკენ. აქ არსად არ არის არც აგარაკი, არც ნაშენობა რამე და ადგილებიც სწორია.

მოსახსენებლადო. ეს კამათი იმან გამოიწვია, რომ ადგილობრივ სომხის სამღვდელოებამ არ გადაიხადა პანაშვიდი ვენაში გარდაცვალებულ მწერლის გევონდ ალიშანის სულის მოსახსენებლად. გაზ. „მშაკი“ იმ აზრისა იყო, რომ პანაშვიდი უნდა გადაუხადონ ყველას, განურჩევლად სარწმუნოებისა. ამის გამო ტფილისის სომეხთა სასულიერო კრებამ, უკანასკნელ სხდომაზე გარდასწყიტა გამოეცხადოს სამღვდელოებას, რომ პანაშვიდის გადახდა სხვა სარწმუნოების მიმდევართათვის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებში აკრძალულია.

✦ „კავკაზ“-ის სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელმა თ. გოლიცინმა 14 იანვარს საბოლოოდ დაამტკიცა ბათუმის **ნავთის ქალაქის** გეგმა.

✦ ერთმა კავკასიელ გუბერნატორთაგანმა აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოფლებში **ყვავილის ამცრელები** განთავისუფლებულ იქმნან ყოველგვარ სასოფლო გარდასახადისგან, ვიდრე ისინი ამ ხელობას ადგანან.

✦ შაბათს, 19 იანვარს, **სახალხო წარმოდგენებისა** და კითხვათა სადგომში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ფრანგულიდან ნათარგმნს კომედიას „პარიზელ ბიჭს“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი.

✦ ხვალ, 19 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ალექსანდრე და გიორგი წერეთლებისა, რომელთაც **ადმინისტრაციის შეურაცხება** ბრალდებათ, და ალექსანდრე გოგოლაძისა, რომელსაც ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის აღმოჩენა ედება ბრალად.

✦ **გ. გ. თამამშევის მეუღლის შეწირულების გამო** სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, „ნოვ. ობოზ.“ შემდეგს გვაუწყებს: „ამ შეწირულებას არავითარი კავშირი არა აქვს იმ მოგებულს ათი-ათას მანეთთან, რომელიც ხვდა ორ იანვარს ქ. თამამშევის ბილეთს; მხოლოდ ქ. თამამშევისას სურს რაიმე კეთილის საქმით აღნიშნოს ეხლახან გარდაცვალებულის თავისი შვილის სახელით. ქ. თამამშევისამ 16 იანვარს შეიტანა 5,000 მან. ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელში ამ სასწავლებლის თანხის გასაძლიერებლად. 8 თებერვალს, პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნის დღეს, ქ. თამამშევისას სურს შესწიროს ათი ათასი მან., რათა ამ ფულით დაწესდეს ხსენებულს უნივერსიტეტში სტიპენდიები იმის შვილის სახელზე. ეს სტიპენდია იქმნება ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის განკარგულებაში, რათა მან დაუნიშნოს იგი ტფილისის მცხოვრებს ულარიბესს შეგირდს, განურჩევლად შთამომავლობისა და სარწმუნოებისა. გარდა ამისა, ქ. თამამშევისა ჰფიქრობს შესწიროს ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელს რამდენიმე ფული“.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ **წარუდგინა** ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოსაგან ახლად არჩეული ოთხის წლით გამგეობის წევრი ბ. ხოსროევი.

✦ ტფილისში **არსდება** სააქციონერო ამხანაგობა სახელად „ნაროდნია პოლზა“. ამ ამხანაგობას აზრადა აქვს გახსნას აფთიექა, გამოსაკვლევი ლაბორატორია და სამკურნალო ავადმყოფთათვის. ამხანაგობას განუზრახავს ამ საქმისათვის შეადგინოს 100,000 მან. თანხა. წილი (პაი) ეღირება 50 მან.

✦ დაბახანის ხიდის აშენება საბოტანიკო ბაღის ახლო 2,000 მანეთზე მეტი **დაჯდა**.

✦ გუშინ, 17 იანვარს, დილის სამ საათზედ ალექსანდრეს გუჩაზე **ცეცხლი გაჩნდა** გენერალ-მაიორის ოსტროგორსკის სახლს. ცეცხლი გაჩნდა სამხედრო ინჟენერის ჩიკალინის სამზარეულოს ახლო, მოედო ბალკონს და შემდეგ სახურავზედ გადავიდა. ცეცხლის მქრობელ რაზმს კარგა ხანს ვერ აცნობეს, რადგანაც ტელეფონები გაფუჭებული აღმოჩნდა. ცეცხლი ჩააქრეს დილის 7 საათზე. ოსტროგორსკის სახლი დაზღვეულია 16,000 მან. დიდი ზარალი მოუვიდა ინჟენერ ჩიკალინს, რომელსაც თუმცა არა დასწვია რა, მაგრამ გამოზიდვის დროს ბარგი და ნივთები სულ წაუხდინეს და დაულეწეს.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაავალა **თამბაქოს პლანტაციების** გამგეთ ლაგოდეხში, ოზურგეთში და სხ., რომ ყურადღება მიაქციონ საუკეთესო თამბაქოს მოვლა-მოშენებას და ამასთანავე მცხოვრებლებში გაავრცელონ და შეასწავლონ იმათ უმაღლესი ღირსების ოსმალოს თამბაქოს კულტურა.

✦ ამავე სამინისტრომ ნება დართო, რომ მომავალ წელს, სექტემბერში, ეკატერინოდარში მოხდეს სოფლის მეურნეთა კრება.

✦ საოჯახო-წარმოების კომიტეტის საქმეთ მწარმოებელი ბ. ფირალოვი პეტერბურგს იგზავნება საოჯახო წარმოების წევრთა კრებაზე დასასწრებლად მარტში.

✦ სამხედრო უწყებამ აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ავლაბარში სამხედრო სურსათის მაღაზიის შენობა **გააფართოვოს**. ამისათვის იმასა სურს ახალი შენობის აგებისათვის შეიძინოს ანტონოვის ქუჩის ნაწილი და ამასთანავე დაიხუროს მეზობლად მყოფი კნორინგის და მურავიოვის პატარა ქუჩები. ამ საქმის შესახებ სამხედრო უწყებამ სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულების მოხდენა. მინისტრმა აცნობა სამხედრო უწყებას, რომ პირველად საჭიროა გამოირკვიოს ქალაქის უფლებანი ამ ადგილებზედ. ამის გამო ბ. გუბერნატორმა მიმართა ქალაქის გამგეობას, რომ აცნობონ მას, ქალაქს ეკუთვნის თუ არა ეს ქუჩები და რა საბუთები აქვს ამისი.

✦ ცენტრალურ წიგნთსაცავის პატრონს ქ. შაპოვალოვისას თხოვნა მიურთმევია ჩერნომორის გუბერნატორისათვის, რომელსაც სთხოვს, რომ ნება დართოს მას, თავისი წიგნთ-საცავი **სოჩაში გადაიტანოს**.

ქუთაისის ახალი ამბები

〰 ქუთაისის სამეურნეო სადგურის გამგე აგრონომი ტიმოფეევი გაზაფხულზე საზღვარ-გარედ იგზავნება იქაურ სამეურნეო სადგურებისა და საცდელ მინდვრების დასათვალიერებლად.

〰 ორპირის ქუჩა ქუთაისში სწორედ საარაკო და საინტერესო ქუჩაა ყოველის მხრით. წვიმებში და თოვლში აქაური ტალახის წუმპე ყელამდის ითრევს მგზავრს და მეეტლეებს ხომ ჯოჯოხეთის წუთებს აჩვენებს. 13 იანვარს, საღამოს, ეტლით მოდიოდა ორი მანდილოსანი. ზედ შუალაფსა და თოვლ-შავში ეტლი გაჩერდა და ვერასფერის გზით საძრავი ვერ მისცეს ცხენებმა ეტლს. მანდილოსნები იძულებულნი შეიქნენ ეტლიდან გადმომხტარიყვნენ, მაგრამ ვაი იმისთანა გადმოხტომას. სულ ერთიანად ამოისვარნენ ტალახში და ძლივს გააღწიეს ქუჩის ნაპირამდის. ცხენებმა მაინც ვერ დასძრეს ცალიერი ეტლი და მერე ისევ მეეტლე და სხვა ბიჭები შეებნენ და რის ვაი ვაგლახით ამოათრიეს ეტლი. მეეტლეს ჰკითხეს, ასეთი საძაგელი მჭლე და დაღლილი ცხენები რადა გყავს ეტლში შებმულიო, რაზედაც უპასუხა:—ჩემი ცხენები განთქმული ცხენებია, ვისა ჰყავს ამაზე უკეთესებიო, მაგრამ ამისთანა დასაქცევ ქუჩაში რა ცხენი იქნება ისეთი, რომ ეტლს საძრავი მისცესო. ახლა, თქვენა გკითხავთ: [ვის დავაბრალოთ ეს სამწუხარო ამბავი—ცხენებს, თუ ქუჩას? თქვენი არ ვიცი და მე კი ორივე შემთხვევაში ბრალსა ვდებ ქალაქის თვითმმართველობას—გლახა ცხენების პატრონს ნება არ უნდა ეძლეოდეს ეტლის გამოყვანისა ქუჩაში, და იმისთანა ქუჩებსაც, როგორიც ეს დაბრიყვებული ორპირის ქუჩაა, გაკეთება უნდა რიგიანად...

რუსეთის ქრონიკა

∝ ამ დღეებში დაიწყება სხდომები განსაკუთრებულის კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს პროექტები უმაღლეს სწავლის რეფორმებისა და უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ.

∝ დაარსდა კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს პროგრამები და წესები უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებისა, რომელნიც მიწად-მოქმედების სამინისტროს ექვემდებარებიან.

∝ ჩვენ ამ დღეებში დასახელებული გვქონდა ის შუამდგომლობანი და დადგენილებანი, რომელნიც აღძრა და მიიღო ქირურგთა კრებამ მოსკოვში. ამათ გარდა კრებას დაუდგენია, რომ ექიმმა არასოდეს არ უნდა აღძრას კითხვა საექიმო ფასის შესახებ და კმაყოფილი იყოს იმით, რასაც პაციენტი მისცემს და გარდა ამისა, ყოველს ავათმყოფს „თქვენობით“ ელაპარაკოს.

∝ 10 თებერვალს მოსკოვში გაიხსნება რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა საყოველთაო კრება, რომელიც 20 თებერვლამდის გასტანს.

∝ თებერვლის 1-ლ რიცხვებში დაიწყებს მუშაობას მიწად-მოქმედების სამინისტროს სამეურნეო საბჭოს მეშვიდე სესსია.

∝ უწმ. სინოდის ნებართვით, ცოლშვილიან მღვდლებს ნება ეძლევათ აკადემიებში ისწავლონ იმ პირობით-კი, რომ მათ აკადემიის ყველა მოთხოვნა (ეგზამენის, დისერტაციის და სხვა ამგვარის შესახებ) სტუდენტებთან ერთად აასრულონ ხოლმე.

∝ ამას წინად მისსიონერთა ერთ-ერთ კრებაზე მ. ა. სტახოვიჩმა ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა სარწმუნოების თავისუფლების შესახებ და დაჰგმო ძალმომრეობა და სასტიკობა მწვალებლების მიმართ. ამის გამო რეაქციონერმა გაზეთებმა დევნა დაუწყეს „თავისუფლად მოაზრე“ სტახოვიჩს და, როდესაც იგი მალე ორიოლის საგუბერნიო კრებამ თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩია, გამოაცხადეს—სტახოვიჩის დამტკიცება ამ თანამდებობაზე ყოვლად შეუძლებელიაო. მაგრამ იმედი და მოლოდინი გაუცრუვდათ: გაზეთები იტყობინებიან, რომ უმაღლესმა მთავრობამ სტახოვიჩი დაამტკიცა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

პრესსა

ფინანსთა მინისტრის ამ წლის მოხსენებამ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვის შესახებ და თვით აღრიცხვამაც დიდი ლაპარაკი გამოიწვიეს რუსულს გაზეთებში. მოხსენებაც და აღრიცხვაც, მართლა, საინტერესონი არიან. როგორც სჩანს, სახელმწიფო შემოსავალი თან-და-თან მატულობს: თუ 10 წლის წინად შემოსავალი 800—900 მილ. მან. იყო, ახლა ორ მილიარდამდე ადის; მატულობს აგრეთვე გასავალიც, მაგრამ დეფიციტი არ არსებობს; პირიქით, 1902 წელს მინისტრი ვიტტე მოელის შემოსავლის გადამეტებას გასავალზე. სახელმწიფოს თავისუფალი ნაღდიც აქვს; მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ბევრი იყო გადადებული ამ თანხიდან ჩინეთის ექსპედიციისა და რკინის გზების კეთებისათვის, მაინც რჩება თავისუფალი ნაღდი 240 მილ. მან. სახელმწიფო ვალიც თვალსაჩინოდ არ მატულობს. ასე რომ სახელმწიფო ბიუჯეტი კარგ მდგომარეობაშია. საკითხი მხოლოდ ის არის, როგორი დამოკიდებულება არის ამ ბიუჯეტსა და ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას შუა? ამის გამო გაზეთები სხვა-და-სხვა აზრს გამოსთქვამენ. თვით მინისტრის მოხსენება ამბობს, რომ გასული წელი ვერ იყო სახეირო ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის მხრივ. სოფლის მეურნეობა გაჭირვებაში ჩავარდა და იმპერიის მრავალ ადგილებში შიმშილობა იყოო; ვაჭრობ-მრეწვე-

---

ამრიგად, კომისიამ ყველაზე უფრო მოსახერხებლად სცნო რეზერვუარებისათვის ხელვაჩაურის მიდამო და სადგურ ქობულეთის ახლო მდებარე ეგრედ წოდებული ჲიდიმერე.

კომისიის აზრით, განზრახული რეზერვუარები უსათუოდ ხაზინის ხელში უნდა იქნეს, რადგან ეს მოწყობილობა ნაწილი იქნება იმ ნავთის მილისა, რომელიც გამართულია ხაშურიდან ბათუმამდინო. უნდა ააგონ იმოდენი რეზერვუარები, რომ შიგ დაეტიოს 10.000.000 ფუთი ჩვეულებრივი კეროსინი, თვითოეულ რეზერვუარში 200.000 ფუთი; საჭიროა, რომ ქარხნებში და ნავთ-სადგურში შეიძლებოდეს თითო საათში 50.000 ფუთი ნავთის გადაქაჩვა ამ რეზერვუარებიდან.

ამასთანავე კომისიამ გამოიანგარიშა, რომ ამ რეზერვუარების შესანახავების მოწყობას 50 ქვაბით ქობულეთში მოუნდება 2 მილიონი მანეთი; ყოროლს წყლის ჭალებში—1.600.000 მანეთი. ზედ შეკეცილი ყოველივე სხვა საჭირო ხარჯები, კომისიის გამოანგარიშებით, ყოველ ფუთ ნავთზე ასწევს ფასს —0,16 კაპეიკით, და თუ ქობულეთში გაუკეთეს რეზერვუარები—0,094 კაპეიკით, თუ ყოროლის წყლის პირას გააკეთეს რეზერვუარები.

რეზერვუარებიდან ნავთის ქარხნებზე მისაწვდენად იქნება მოწყობილი ცალკე საერთო გამანაწილებელი სადგური, რომელიც თავ-თავის დროზე და ქარხნების მოთხოვნილებისამებრ მიაწვდენს მათ ქარხნებშიაც და ნავთ-სადგურშიაც საჭირო ნავთს.

ყოველივე ზემო ხსენებულ განზრახვათა აღსრულება მოითხოვს გაფართოვებას ეხლანდელ ნავთის ქალაქისას, რისთვის საჭიროდ ხდება რკინის გზის საქონლის სადგურის სხვა ადგილას გადატანა. ეს სადგური სახალხო სადგურთან ერთად უნდა გადაიტანონ კახაბრის მთების ძირში. ამ სადგურის გადატანა დაჯდება 2 მილიონ მანეთამდინ.

რადგან ნავთის წარმოება თან-და-თან იზრდება და გასაზიდავი ნავთი ბათუმისაკენ მოდის, კომისიამ საჭიროდ იცნო ამ თავითვე შეძენილ იქმნას ყველა ის ადგილები, რომელზედაც შემდეგში გაიშლება ახალი ნავთის ქალაქი. კომისიამ კიდევაც მიუთითა ამ ადგილებზე; ამათ შორის მოჰყვა ის მიწებიც, რომელიც მდებარეობს ბათუმის სამხრეთ მხარეზედ. თვით ქალაქის ზრდაც აქეთკენ მიიწევს დღემდინ. ეს ადგილები სანჯაყ-ბეგ-აბაშიძეების კუთვნილება იყო და დღეს კი მთავრობამ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ნავთის ქალაქზე და მის მოწყობილობაზე. ნავთის ქალაქს ეჭირვება ყველა ის ადგილები, რომელზედაც დღეს იმყოფება ნავთის ქარხნები, ამას შეემატება ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქონლის სადგურისა და სანჯაყ-ბეგ-აბაშიძეების ყოფილი ადგილები თითქმის ართვინის გზა-ტკეცილამდინ. რადგან ამავე ადგილებზე სცდილობს ბათუმი გაშლას, ამიტომ, კომისიის მოსაზრებით, ზოგიერთი ნაჭრები შეიძლება დაეთმოს მცხოვრებლებს, მაგრამ ამისი ნება უნდა ჰქონდეთ აღებული მთავარ-მართებლისაგან.

ნავთის ქალაქი დაყოფილი იქნება უბნებად; გაყვანილი იქნება მოკირწყლული ქუჩები; განათება იქ ყოველგან ელექტრონისა უნდა იქმნას. ქუჩებისაკენ მოქცეული შენობების კედლები აგებულ უნდა იქმნას ცეცხლის გამძლე მასალისაგან. შენობები შეიძლება ერთი და ორ-სართულიანებიც, მაგრამ უკანასკნელნი არა უმაღლეს ექვსის საჟენისა; შეიძლება ხის სახლების აშენებაც. სახლების სახურავები კი უსათუოდ ან თუნუქისა, ან კრამიტისა უნდა იქმნეს. იმ შენობებს, სადაც ცეცხლი ჩაღდება, მზად უნდა ჰქონდეს ცეცხლის გასაცალკევებლად რკინის ფურცლები.

ხის მასალის თითო საწყობს უნდა ეკავოს არა უმეტეს 300 ოთხ-კუთხი საჟენისა; საწყობსა და საწყობს შუა გასავალი ოთხი საჟენი უნდა იქმნეს.

ყოველ ქარხანას, ცეცხლის საქრობლად, ეზოში უნდა ჰქონდეს ოთხ-ოთხი წყლის ონკანი.

ყოველ სახელოსნოში უნდა იყოს მეთვალყურედ დაქირავებული საიმედო, ფხიზელი პირი, წლოვანებით არა ნაკლები 21 წლისა; მის მოვალეობას შეადგენს წესრიგის დაცვა სახელოსნოებში. ყოველ მსხმელ-მქაჩველ სადგურზე და ქარხანაზე უსათუოდ უნდა იყვნენ ღამის ყარაულები, რიცხვით არა ნაკლებ ორისა, რომელნიც მორიგეობით იდარაჯებენ, რომ ნავთის ქალაქში ყოველივე წესი დაცული იქნეს, ამის თვალყურის გდება ევალება ბათუმის ციხის კომენდანტს. ამას უნდა ეკითხებოდეს ნავთის ქალაქში ყოველისავე შენობის აგების ნებართვა; დანარჩენში მეთვალყურეობა და ზედამხედველობა აქ ევალება საქარხნო ინსპექციას და პოლიციას.

კანონის ყოველისავე მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანად ნავთის ქალაქში ქარხნის პატრონებს ვადათ ეძლევათ სამი წელიწადი იმ დღიდან, როგორც კი საბოლოოდ დამტკიცებული იქნება ნავთის ქალაქის უკვე წარდგენილი გეგმა, რაც ამ მოკლე ხანში მოხდება.

ზოგიერთი მუშაობა უკვე კიდეც დაწყებულია, მაგალითად, რკინის გზის ახალი ლიანდაგის გაპლანვა.

ჰ.

ეროვნული

ლობასაც კრიზისი დადუგა. იხსენიებენ-რა ამ გარემოებას, გაზეთები თითქმის ერთხმად ამბობენ, რომ, თუ მიუხედავად ამ ფაქტების, სახელმწიფო შემოსავალი არ კლებულობს, ეს მეტად მძიმედ და ძვირად უჯდება ხალხს: მისი ძალა, მისი კეთილდღეობა მეტად შესუსტდა და დაიჩაგრა; თუ ახლანდელი კრიზისი არ დასრულდა და სახელმწიფო შემდეგშიაც ასეთს მსხვერპლს მოითხოვს ერისაგან, დადგება დრო, როდესაც ქვეყანა ველარ შესძლებს სახელმწიფო ხარჯების გაწევას. ფინანსთა მინისტრი ხალხის გაღარიბებას ხსნის იმით, რომ რუსეთი ახლა ნატურალურ მეურნეობიდან კაპიტალისტურ ხანაში გადადის; ხოლო ასეთ გარდამავალ ეპოქაში აუცილებელია ერის ერთის ნაწილის დაქვეითება; მრეწველობის კრიზისს კი მინისტრი დროებითი მოვლენად აღიარებს.

„სახელმწიფო შემოსავლის ბრწყინვალე მდგომარეობამ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ეწვია სამეურნეო და სამრეწველო კრიზისი, უნდა დაგვაფიქროს და აგვაწონ-დაგვაწონინოს ჩვენი ფინანსიურის პოლიტიკის მიმართულება. წელსაც ფინანსთა მინისტრის მოხსენება და ზოგიერთი გაზეთები კმაყოფილებით აღიარებენ, რომ რუსეთის ბიუჯეტი მშვენიერია, მაშინ როდესაც უცხო სახელმწიფოებს დეფიციტი აქვთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ბიუჯეტი ნამდვილი გამომხატველი იყოს ქვეყნის ეკონომიურის მდგომარეობისა. რატომ ხდება, რომ ევროპაში ყოველი კრიზისი და ეკონომიური გაჭირვება მაშინვე შეეტყობა ბიუჯეტს, მაშინვე ამცირებს სახელმწიფო შემოსავალს, რუსეთში-კი არა? იმიტომ რომ იქ, დასავლეთ ევროპაში, მჭიდრო კავშირი არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტსა და ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას შუა; სახელმწიფოს გარდა, ერის სხვა-დასხვა საჭიროებას იქ აკმაყოფილებს თვით ერის სხვა-და-სხვა დაწესებულება და არა მარტო სახელმწიფო. საკმარისია შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ: მარტო ბერლინი საკუთარ საშუალებიდან ხარჯავს სწავლა-განათლების საქმეზე 15 მილიონ მანეთს; რუსეთის სახელმწიფო-კი მთელს იმპერიაზე ხარჯავს ამ საქმისათვის 36 მილიონ მანეთს!

სასამართლო

I

17 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ეჩმიაძინის მაზრის მეოთხე ნაწილის ბოქაულის ნიკოლოზ ვაშაძისა, რომელსაც სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა ბრალდებოდა. საქმის გარემოება შემდეგია: 1900 წლის 21 სექტემბერს ეჩმიაძინის მაზრის კოშკის სოფლის საზოგადოების მამასახლის წარუდგენია ბოქაულ ვაშაძისათვის ოქმი, რომელიც შეუდგენია სოფელ ყარაჯას მცხოვრების აღა-რუსტამ-ოღლის განცხადებით იმის შესახებ, რომ ღამით აღნიშნულ წლის სექტემბერში მის შინ არ ყოფნის დროს, სახლს თავს დასცემიან მისი მეზობლები ამირასლანი, გუმბათი და კურბან იაკუბ-ოღლი, რომელთაც ჩაუმტრევიათ კარები, შევვარდნილან სახლში და იქიდან მოუტაცნიათ ალის ცოლი და სხვა და სხვა ნივთები 100 მ. ღირებული. ოქმში აღნიშნულ გარემოებათა მიუხედავათ ბოქაული არ აჩქარებულა და რამე თუ რამე ღონისძიება უხმარია ყაჩაღების დასაჭერად და გამომძიებლისათვის მაშინათვე ამბავის შესატყობინებლად, არამედ მამასახლისისათვის ოქმი უკანვე დაუბრუნებია და უთქვამს: ხელმეორედ შეადგინე უფრო დაწვრილებითი ოქმი და ისე წარმომიდგინეო. ამასასობაში ერთს ბოროტ-განმზრახველთაგანს, სახელდობრ—კურბან-იაკუბ-ოღლის, ალის ცოლი გაეტაცნა სურმალინის მაზრის სოფელ პირლუში და იქ დეკემბრის ერთ ღამეს დაეხრჩო კიდეც; შემდეგ მოეტაცნა აბდულკარან-ბეგის ცხენი, შეერთებოდა ყაჩაღთა ბრბოს და დაეწყო თარეშობა მთელს ერევნის გუბერნიაში და კიდეც რამდენიმე ბოროტ-მოქმედებაც ჩაედინა. ამის გამო, ერევნის გუბერნიის სამართველოს გარდაწყვეტილებით, პასუხის გებაში მიცემულ იქმნა ბოქაული ვაშაძე. მას გამომძიებელთან განუცხადებია, რომ მამასახლისის პირვანდელს ოქმს ვერ ენდო და რათა შეცდომაში არ შესულიყო, ხელმეორედ შეადგენინა ოქმი უფრო დაწვრილებით და დანამდვილებით. ბრალდებულმა სამოსამართლო პალატაში გუშინ ესევე განაცხადა თითქმის და ითხოვა გამართლება. ბრალმდებელმა აღნიშნა არა კანონიერი საქციელი ბოქაულისა და ითხოვა დაესაჯათ იგი სასტიკის საყვედურის გამოცხადებით და ამ საყვედურის სამსახურის სიაში აღნიშვნით.

პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო აღნიშნულ ბრალდებაში ბოქაული ნ. ვაშაძე და მიუსაჯა სამსახურის სიაში შეტანით სასტიკის შენიშვნის გამოცხადება.

II

ტფილისის ოლქის სასამართლოში, 16 იანვარს, გაირჩა საქმე სენაკის მაზრის მცხოვრების ჭალაგანიასა და ტფილისის მცხ. ვასილკოვსკის ქალისა, რომელთაც შემდეგი ბრალდებოდათ: ვინმე ქალიშვილი უსტიცკი ლოგინად ჩავარდნილა სამშობიაროდ; ჭალაგანიას მის მოსავლელად მოუყვანია ბებია ვასილკოვსკისა, რომელსაც ბებიაობის ნება არ ჰქონია; ვასილკოვსკის ცუდათ მოვლისა გამო სალოგინე ქალი რამდენსამე ხანში კიდეც გარდაცვლილა. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულნი ჭალაგანია და ვასილკოვსკისა ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო და გარდაუწყვიტა: პირველს $1\frac{1}{2}$ წლით, ხოლო მეორეს $3\frac{1}{2}$ წლით ციხეში დაპატიმრება.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაამბეჭდოთ შემდეგი წერილი: ვინ არ უწყის ის აწეწილ-დაწეწილი საქმეები, რომელიც ძმათა იოსებ და ალექსანდრე თუმანოვებს და ჩემ შორის არის აღძრული მამულის შესახებ, ჩვენი საქმეებით სასამართლოები სავსეა; თვით საქმე იმნაირი არის რომ „გურიის“ მეოთხედი ხალხი თითქმის შეწუხებულია, რადგანაც ჩვენმა ერთი მეორესთან აშლამ და დავიდარაბამ გამოიწვია ის, რომ „გომის“ ტყე, სივრცით 8004 დესეტინა „ქუთაისის“ ოლქის სასამართლოს განჩინებით შეიკრა და ტყის მასალის მოჭრას და სარგებლობას არავის ანებებენ; ჩვენ თუ კანონით დაბოლოებას ვუყურეთ, ამ საქმის გათავება ერთობ შორს გასტანს; ამისათვის თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით ვსთხოვ იოსებ და ალექსანდრე თუმანოვებს, რომ სინდისის სამართალში გამოუყვენ (რომელსაც მედიატორეს ვეძახით) და მათ განაჩენს ჩვენ ორივე მხარე დავთანხმდეთ და ამით ჩვენ შორის ყოველივე საქმე დაბოლოვდეს; არ ვიცი, ბ. ბ. თუმანოვები რის თანახმა იქნებიან, და მე-კი ჩემის მხრივ, უკეთუ სინდისის სამართალი გამამტყუნებს, ბოდიშს მოვიხდი თუმანოვების წინაშე და მასთან ას მანეთსაც „ცნობის“ ფურცლის რედაქციას გავუგზავნი რაიმე საქველ-მოქმედო მიზნის მოსახმარებლად.

თვ. დავით სვიმონის ძე გუგუნავა.

II

კიევის ქართველი სტუდენტები გულითად მადლობას უძღვნიან ანნა ანდუყაფარის ასულს ოქროპირიძისას, რომელმაც მოაწოდა 21 მან. და 50 კ., საღამოს ხარჯის დასაფარავად.

კიევის ქართველი სტუდენტების მონდობილობით **შ. ჩიტაძე.**

III

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ჩემსა და რწმუნებულის ჩემდამო აცანის ოქონის მარცხოვრის ეკკლესიის მრევლის მაგიერ ქ. ბათუმში მოვაჭრეს ბ-ნს ივლიანე ლევანისძე ქინქლაძეს, რომელმაც დაფინა ზემოხსენებულს ეკკლესიაში თავის ხარჯით ქვის იატაკი, რაიცა დაჯდა სამას მანეთად.

ბლაღოჩინი მღვდელი სილიბისტრო **ჩხაიძე.**

IV

თანახმად ხარკოვის ქართველ სტუდენტთა მონდობილობისა, უღრმესს მადლობას ვუცხადებ ბ. ჯიშკარიანს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ასი მანეთი ზემოხსენებულ სტუდენტებს.

ლ. თუმანიშვილი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 იანვარი

პეტერბურგი. 15 იანვარს საზამთრო სასახლეში ამ წელიწადში პირველად ჰქონდათ დიდი მეჯლისი მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ.

პეკინი. იმპერატორმა და დედოფალმა მიიღეს სანახავად უცხოელი ელჩები. დედოფალმა სინანული გამოაცხადა მაზედ, რაც მოხდა და დაარწმუნა, რომ მომავალში ასეთი ამბები აღარ განმეორდება.

კონსტანტინეპოლი. სოფიაში ოსმალეთის კომისარიატის მოხელე გაბრიელ-ხოზელ-ეფენდი დაატყვევეს პოლიტიკურის მოსაზრებით და საპყრობილეში გაგზავნეს.

ბრიუსელი. ბალფურის გუშინდელ სიტყვის გამო, „პტი ბლე“ აცხადებს, რომ ბურების წარმომადგენელთ არავისთვის არ მიუნდვიათ, რომ მშვიდობის ჩამოგდების შესახებ წინადადებანი აღძრან.

ლონდონი. გაზეთები ურჩევენ, რომ ნუ გააზვიადებენ ბალფურის განცხადებას. „ტაიმს“-ი ამბობს, რომ ჰოლანდიის მოხსენებას იმაზე მეტი მნიშვნელობა არა აქვს ამ საგნის შესახებ, ვიდრე სხვა უმნიშვნელო წინადადებებსაო.

კიშინევი. თავად-აზნაურთა მეორე კრება გაიხსნა.

ხარკოვი. სამთო მრეწველთა საგანგებო კრებაზე სამთო ინჟინერმა ავდაკოვმა საფუძვლიანად აუხსნა კრებას, როგორ უნდა გაიტანონ დონის ოლქის ნახშირი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, ბოსფორში და იქიდან საზღვარ-გარედ. ავდაკოვი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია, სულ განიდევნოს ინგლისის ნახშირი დუნაიდან და ხმელთა შუა ზღვის ნავთ-სადგურებიდანაო.

ვარშავა. მოძრავი სამზარეულოების მოქმედება, რომელიც შეჩერებული იყო, გაზაფხულიდან ისევ დაიწყება.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო განყოფილებაში მოვიდნენ უმაღლესი კურსების მომსმენი ქალები, რომელთაც განაცხადეს, რომ მოსკოვის მცხოვრებთა მომავალს აღწერაში მონაწილეობას მიიღებენ.

კიევი. დიდით სტეფანოვის და ჟილიანსკის ქუჩების კუთხეში წყლის მილის სარევიზიო ჭაში აფეთქება მოხდა; დაშავდნენ ინჟინერი და მუშები. მიზეზი—მოგროვებული გაზების აფეთქება იყო. კიევ-კოველის რკინის გზის შტოზე რელსების დაგებას მორჩნენ სრულიად დეკემბერში; დროებით მიმოსვლა ამ გზაზე დაიწყება მარტის დამდეგს.

მოსკოვი. გოგოლის და ჟუკოვსკის მოსაგონებელ დღესასწაულის გამო ქალაქის გამგეობამ გადასდო 4,000 მან,; ამ ფულით კითხვები უნდა გამართონ და მათი თხზულებანი დაურიგონ საქალაქო სასწავლებლებში.

17 იანვარი

პეტერბურგი. შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს; „ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დეპეშით იტყობინება, რომ 8 იანვარს ბათუმში აღმოაჩინეს საეჭვო ავადმყოფი, რომელიც 9-ს უკვე გარდაიცვალა; მას შავი ჭირის ნიშნები ჰქონდა. როგორც-კი აღმოაჩინეს ავადმყოფი, მაშინვე გადაიყვანეს საავადმყოფოს განსაკუთრებულს განყოფილებაში; სახლს, რომელშიაც ის ცხოვრობდა, ალყა შემოარტყეს, ხოლო მის მახლობლებზე სამკურნალო ზედამხედველობა დააწესეს. განკარგულება გაიცა, რომ საექიმო ზედამხედველობა დაწესდეს გემებზე, რომელნიც აქედან გადიან. ზედამხედველობა დაწესდა აგრეთვე რკინის გზით მოგზაურების შესახებ. სხვა ამგვარი ავადმყოფი ჯერ არ აღმოუჩენიათ“.

მოსკოვი. დაიხურა ძაღლებისა და ცხენების გამოფენა. ქ.ბ. ტრიფონოვიჩმა აჩუქა რუმიანცევის მუზეუმს 70 სურათი ძველ-ჰოლანდიურისა და ძველ-იტალიანურის სკოლებისა.

ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების მოსკოვის განყოფილება აწესებს ტეხნიკურ კურსებს ტიპოგრაფიისა და ლიტოგრაფიის მომუშავეთათვის.

კიევი. აქ ჩამოვიდა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი.

ჰააგა. პირველი პალატა. ერნაკერ გორდიკმა მიჰმართა მთავრობას და დაეკითხა ბალფურის განცხადების შესახებ, ვითომც ნიდერლანდის მთავრობას წინადადება მიეცეს ინგლისისათვის ბურების გამო. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა გორდიკს, რომ ეს მართალიაო, მაგრამ მთავრობა ჯერ ვერ გამოაცხადებს წინადადების შინაარსსო.

ლონდონი. ნიდერლანდის მთავრობის წინადადების გამო პალატის წევრთა ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სოლსბერი და ლანსდოუნი მოვიდნენ პარლამენტის შენობაში და ესაუბრენ თავის ამხანაგთ

გამომცემელი და ორ. რედაქტორი **ი. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის-გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის.)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო - გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ზ ო ბ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გრ. ძოღუანზე, ყაფანიან

ისყიდება საუკეთესო გახრაკებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (წ.).

მ. ა. ანანოვის ამერიკულ ვაზების სანერგე

იყიდება **ამერიკულ ვაზის რიპარიას რქა** ათასი 8—10 მ., **რუპესტრისი** ათასი 10—14 მ. სარგავი რქა ათასი 3 მან.

აქვე იყიდება სხვა-და-სხვა ზომის სალვინე ბოჩკები. იკითხეთ—რკინის გზის სადგურ რიონის ახლო მამული ა. ს. ანანოვისა.

(5—233—3)

ამხანაგობა „შრომა“

საკუთარ ხეხილეულო ბის სანერგედან ჰყიდის

ძლიერ იაფად დამყნილ

ნერგ ებს

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ: აგრ. დაგოდეხში—გ. აფრიკიანცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» ც მუშტაიდში—ზ. პრიდიშკას.

კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—18)

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და რუსულ

„ПАСТЫРЬ“-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“	3 მან.	6 თვით „მწყემსი“	2 მან.
— „ რუსული	3 „	— „ რუსული	2 „
— „ ორივე გამოცემა	5 „	— „ ორივე გამოცემა	3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დ. ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში—ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან, ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“. (შ. 3—2)

Дозволено цензурою Тифлисъ, 17 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.